ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 77

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. მარნეული **2020 წელი**

ერთის მხრივ, **შპს „მარნეულის სოფწყალი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მ/შ ალექსი მამუკაშვილი** სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე წარმოდგენილი მაკა ბრეგვაძე სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა/მომსახურება არ იწვევს ინტერესთა კომფლიკტს.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია **შპს „მარნეულის სოფწალი“** პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებების (**CPV72200000) კოდით** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია **შპს „მარნეული სოფწყალი“**-სათვისპროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებების (**CPV722000) კოდით** შესყიდვა დანართი #1 ფასების ცხრილის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 მომსახურების შესყიდვის საერთო ღირებულება განისაზღვრება . **2500 ლარი**
ლარის ოდენობით დანართი #1 შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების შესყიდვა განხორციელდება ერთჯერადად შემსყიდველის მოთხოვნიდან **2020** წლის 31 **ოქტომბრის** ჩათვლი.
4.2 მომსახურების შესყიდვის ადგილია **ქ. მარნეული**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმით.

6. ანგარიშსწორების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებული ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის **30 ნოემბრამდე**

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა

წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყონებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

დირექტორის მ/შ.
ს/კ - 434158163
მის: ქ.მარნეული, ერეკლე მეორეს ქ #3 ბ.49
ბანკის კოდი: TEBAGE22
სს „ტერა ბანკი“
ა/ა GE35KS0000000345200004

Aleksi Mamukashvili
Подписано цифровой подписью: Aleksi Mamukashvili
Дата: 2020.10.22 13:58:07 +03'00'

დირექტორის მ/შ
ალექსი მამუკაშვილი

მიმწოდებელი:

ინდივიდუალური მეწარმე
ს/კ**540010008213**
მის: ქ. **ჭიათურა,ბარათაშვილის ქ.N31**
ბანკის კოდი: **BAGAGE22**
სს„საქართველოს ბანკის“
ანგ. **ა/ა GE13BG0000000207812600**
ელ.ფოსტა makabregvadze@yahoo.com
ტელეფონი:577232382

ინდ.მეწარმე
მაკა ბრეგვაძე

ფასების ცხრილი #1
ხელშეკრულება #
20.10.2020 წელი

#	სამუშაოს დასახელება	CPV	რაოდენობა მომსახურება	ერთეულის ფასი	სერთო ღირებულება
1	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებება	**72200000**	1	**2500**	**2500**
	ჯამი				

შემსყიდველი:
შპს „მარნეულის სოფწყალი"-ს დირექტორის მ/შ

მიმწოდებელი:
ინდივიდუალური მეწარმე

ალექსი მამუკაშვილი

მაკა ბრეგვაძე

Aleksi Mamukashvili

Подписано цифровой подписью: Aleksi Mamukashvili
Дата: 2020.10.22 13:59:42 +03'00'